

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 2

თებერვალი
2007

კითხვის სიკეთე
პაპის ვიზიტები

რედაქციის გვერდი

კითხვის სიკეთე

საერთაშორისო გამოკვლევები მეტყველებს, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ მრავლადაა წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები. გაერო თავის ერთ-ერთ საპროგრამო მოვალეობად მიიჩნევს ამ იარის გაქრობას; უკანასკნელ მონაცემებზე დაყრდნობით, წერა-კითხვის ამ უცოდინართა შორის 70%-ს არ ადევლებს ეს პრობლემა.

თვით კათოლიკე ეკლესია ვატიკანის II კრებაზე (1962-65 წწ.) “მსურვალედ და გულდაგულ მოუწოდებდა მორწმუნეებს, საღმრთო წერილის ხშირი კითხვისაკენ”; “საღმრთო წერილის უცოდინარობა ქრისტეს უცოდინარობას ნიშნავს” (Dei Verbum 25).

ბიბლიის წაკითხვა. იყო დრო, როდესაც, სირთულის გამო, არ ურჩევდნენ წმიდა წერილის კითხვას; ეროვნულ ენებზე წმ. წერილის ტექსტების თარგმნამ და დაბეჭდვამ გზა გაუხსნა მასთან მიახლოების სწრაფ პროცესს, რაც აშკარაა თანამედროვე მსოფლიოში; ბიბლიის წაკითხვა პერსონალურად, ოჯახში, ჯგუფში; ბიბლიის ღირსეულად წაკითხვა ლიტურგიის დროს იმ მიზნით, რომ მოხდეს წაკითხულის გაგება, მეტადრე იმისთვის, რომ საკითხავის გარეშე არ არსებობს ეკლესია, არ არის საიდუმლო, ვერ მოხდება რწმენაში ზრდა. ჩვენს საკრებულოებსა და ოჯახებში ახლახანს შემოსული ჩვენი ეკლესიის ახალი 2007 წლის კალენდარი, ძირითადი იარაღია მათთვის, ვისაც სურს ყოველდღიურად გაეცნოს ლიტურგიით შემოთავაზებულ საღმრთო წერილის ტექსტებს: არის ოჯახები, ცალკეული ადამიანები, რომლებიც ყოველდღე სარგებლობენ ამ დიდი სულიერი მარაგით; რა კარგი იქნებოდა რომ ჩვენს გაზეთში ამასთან დაკავშირებით ვინმეს თავისი გამოცდილება გაეცნო ჩვენთვის!

კათოლიკე ეკლესიის დოკუმენტების წაკითხვა. ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ქართულად ნათარგმნი კატეხიზმო; პაპების ენციკლიკები, მათ შორის ამჟამინდელი პონტიფიქსის, ბენედიქტე XVI-ის, პირველი

ენციკლიკა “Deus caritas est”. ახლახანს ცალკე ტომად გამოიცა ვატიკანის II კრების დოკუმენტები, რასაც დიდხანს ელოდნენ ქართულ ენაზე. ეს კიდევ ერთი მაგალითია ჩვენს ეკლესიაში და მთელი ქართველი ერისათვის; 70-იან წლებში იგი ბესტსელერად იყო აღიარებული მრავალ ქვეყანაში და ათვლის წერტილად ითვლებოდა ქრისტიანთა თუ არაქრისტიანთათვის. ამ წიგნის თარგმნით ნამდვილად შეივსო არსებული სიცარიელე. ეს წიგნი შეცნობის, კავშირების, დიალოგის დიდ შესაძლებლობას იძლევა; გახდება თუ არა ის ბესტსელერი საქართველოში, თუ მის იგნორირებას მოახდენენ და “საშიშ” წიგნთა სიაში მოახვედრებენ?

ადგილობრივი ეკლესიის დოკუმენტების წაკითხვა. გავიხსენოთ ჩვენი ეპისკოპოსის მიერ დაწერილი სინოდის წერილი, რომელსაც 2006 წლის 16 დეკემბერს, საზეიმოდ მოეწერა ხელი საკათედრო ტაძრის ტრაპეზზე სინოდის წევრთა თვალწინ. ეს ნიშანდობლივი აქტი გახლდათ, რაც ჩვენი ეკლესიის ჭეშმარიტ და სრულ რეალობას ამოწმობდა ამ მიწაზე, მაგრამ რომის ეკლესიასთან თანახიარებაში, რომელსაც, როგორც წმ. ეპისკოპოსი ირენეოსი იტყოდა, “ყველა ეკლესია უნდა ეთანხმებოდეს”. სინოდის წერილის წაკითხვა საქართველოს კათოლიკეთა მოვალეობად იქცა; მისი წაუკითხაობა ნიშნავს მოსწყდე იმ ხეს, რომელსაც მოციქულთა ეკლესიის დიად ტრადიციებში გაუდგამს თავისი ფესვები; ნიშნავს იმ ლიფსიტებს დაემსგავსო, წყლიდან გარეთ რომ ლამობენ გასვლას; ეს ყოველად შეუძლებელია. თევზი თავისუფლად და ლაღად ცურავს უკიდევანო ოკეანეში, ჩიტი უდრტვინველად დაფრინავს ცის კამარაზე; ადამიანი სავსე ფილტვებით სუნთქავს თავის სამკვიდრებელში; ქართველ კათოლიკეებს შეუძლიათ ლაღად და სავსე ფილტვებით ისუნთქონ სუფთა და ტრადიციით შეუბღალავი ჰაერი, თუნდაც ამ წერილის მეშვეობით; თუკი დღევანდელი გაუკუღმართებული აზროვნება საქართველოში ზოგჯერ აცხადებს, რომ ვინც არაა მართლმადიდებელი, ქართველიც ვერ იქნება, რომელი იქნება ის ლაღი, სუფთა და შეუბღალავი ჰაერი, რითაც საქართველოში კათოლიკეები შეძლებენ განიწმინდონ ამ ჰაერისგან, თუ არა მუდმივად კათოლიკე ეკლესიის ფილტვებით სუნთქვა? წუთით წარმოიდგინეთ, რომელი მორწმუნე (სხვა რელიგიური ტექსტების ფასდაუდებელი ღირსების დაუკნინებლად!) ფლობს ისეთ მდიდარ საკრალურ ტექსტებს, როგორიცაა ბიბლია? საქართველოში რომელი მორწმუნე ფლობს საეკლესიო დოკუმენტების ესოდენ მდიდარ საბადოს, როგორც ჩვენი ეკლესია? ამას იმიტომ ვამბობ, რომ უნდა შევიცნოთ პასუხისმგებლობა, რაც კათოლიკეებს გვაკისრია, ცხადია, სხვა ეკლესიების დაუმცირებლად!

ჟურნალ “საბას” კითხვა. იქნებ ეს ბევრიც არაფერია, მაგრამ ის არის, რაც გვაქვს. ეს ჩვენი მაცნეა. რომ გადაგვეხედა, რამდენი რამ დაბეჭდილა, რამდენი ისტორია! რამხელა სიმდიდრეა! რამხელა შესაძლებლობა ფორმაციის, შეცნობისა და ცხოვრებისთვის! და მაინც, რამდენჯერ შეგვექმნია შთაბეჭდილება, რომ ის არ იკითხება, არც ვრცელდება, რადგან თითქოს მხოლოდ ყველის გასახვევად, ღუმლის დასანთებად ვარგოდეს; ყველაფრის გაკეთება შეიძლება და გამოკეთება, მაგრამ არ შემიძლია ჟურნალი მხოლოდ სურათებით განესაჯო; ეს

ახალგაზრდების, მეუღლეების, კატეხისტების, სამწყსო საბჭოს წევრების, კარიტასის მუშაკთა მაცნეა, ეს გაფანტულ კათოლიკეებსა და საკრებულოებს შორის ყოველთვიური მოზიარების იარაღია; ის ფორმაციის ინსტრუმენტია: ალბათ, რამდენჯერ გამეორებულა მასში ერთი და იგივე თემა, ეს იმიტომ რომ არ წაკითხულა, სხვა სათქმელი არ ყოფილა; ხანდახან უსაფუძვლოდ განვსჯით; “საბა” ყოველთვიური იარაღია, რაც გვეხმარება გაბედულად ჩავდგეთ მსახურებაში: “მსახურება ყველაფერშია, ფუჭი არაფერია”: სწორზე სწორია. მაგრამ თითოეულს ჩვენი ადგილი უნდა გაგვაჩნდეს მსახურებაში, მსახურების ჩვენეული ფორმა, ხარისხი. აკეთო მხოლოდ თვითმიზნისთვის, რადგანაც ყველა ასე აკეთებს ან არ აკეთო, რადგანაც არავინ არაფერს აკეთებს, რაში დაგვეხმარება? ხარისხიანი მსახურება ყოველთვის გამოარჩევდა ქართველ კათოლიკეებს საქართველოში. ხშირად გაისმის საყვედურები, რომ არ გაგვაჩნია ფორმაციისათვის საჭირო მასალა; რომ უმცირესობა ვართ, მარტონი ვართ, ჩვენზე არავინ ლაპარაკობს და, თუ ლაპარაკობენ, ისიც უარყოფითს. ეს უაზრო წუწუნი არცთუ იშვიათად ჩვენს სიზანტეს მალავს, თუნდაც იმ მცირედის გასაკეთებლად, რაც შეგვიძლია და რისი მოვალენიც ვართ გავაკეთოთ: წავიკითხოთ “საბა” ინფორმაციის მისაღებად; წავიკითხოთ, რათა გავიზიაროთ და უკეთ ვიმსახუროთ.

ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა. დიდი კალენისტი თეოლოგი კარლ ბართი ამბობდა, რომ ბიბლია – ერთ ხელში და გაზეთი – მეორეში; დღეს უკვე თამამად შეგვიძლია დავამატოთ მას ტელევიზიის “წაკითხვის” ცოდნა; წაკითხვა სიტყვების, წაკითხვა გულებს; იესო გვიწევს, რომ “დროთა ნიშნები წავიკითხოთ”; წავიკითხოთ იმისათვის, რათა შევიცნოთ, რომ გავხდეთ ღაღნი, გავხდეთ კულტურის, ისტორიის ნაწილი.

მაგრამ ვის აქვს დრო წასაკითხად, ანუ ვის აქვს წაკითხვის სურვილი?

მამა გაბრიელე ბრავანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

პაპის გასული წლის ვიზიტები

ბენედიქტე XVI-ის საშობაო და საახალწლო სიტყვებსა და ქადაგებებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომის კურიასთან შეხვედრისას 22 დეკემბერს წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც წმიდა მამამ გასული წელი და თავისი ოთხი ვიზიტი შეაფასა. ჩვენს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ 2006 წელს პაპი ესტუმრა პოლონეთს, ესპანეთს (ქალაქ ვალენსიას), მშობლიურ ბავარიასა და თურქეთს. ბენედიქტე XVI-მ თავის სიტყვაში დაწვრილებით განიხილა ოთხივე ვიზიტი და მათი მნიშვნელობა.

პირველად, როგორც ვიცით, წმიდა მამამ პოლონეთი მოინახულა. ბენედიქტე XVI-მ აღნიშნა, რომ იოანე პავლე II-ის მშობელი ქვეყნის მონახულება მისი ვალი იყო გარდაცვლილი პონტიფექსის წინაშე –

“ეს იყო ჩემი სამადლობელი იმ ძღვენისადმი, რაც მან, კერძოდ, მე, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საზოგადოდ, მთელ ეკლესიას უძღვნა. ყველაზე დიდი საჩუქარი, რა თქმა უნდა, მისი ურყევი რწმენა და საკუთარი თავის ღმრთისადმი რადიკალური მიძღვნა იყო. მისი ღვევიზი «*Totus tuus*» გახლდათ: ამაში აირეკლა მთელი მისი ბუნება – დიახს, მან ბოლომდე უძღვნა საკუთარი თავი უფალს, ქრისტეს, ღმრთისმშობელს, ეკლესიას – მსხნელისა და ადამიანის ხსნის საქმეს. მას არაფერი დაუტოვებია საკუთარი თავისათვის, ის ბოლომდე დაიხარჯა და დაიფერფლა რწმენის ალში. ამით მან თანამედროვე ადამიანებს დაგვანახა, თუ როგორ უნდა გვწამდეს უფალი, რომელიც ქრისტეს სახით მოგვიახლოვდა.”

ამის შემდეგ წმიდა მამამ აღნიშნა, რომ პოლონეთში – ყველგან, სადაც ყოფნა მოუწია – რწმენის სიხარულს ხედავდა. “სიხარული უფლის წინაშე ჩვენი სიმტკიცეა” (*ნეემ. 8, 10*) – ექსორიიდან დაბრუნებული ისრაელის ხალხისადმი ეზრას მიმართვის ამ სიტყვების რეალობა, პონტიფექსის თქმით, სწორედ პოლონეთში ჩანს – “ხალხმა ჩემში პეტრეს მემკვიდრე იხილა, რომელსაც ეკლესიის მწყემსობა ჩააბარეს. მათ დაინახეს ის, რომელსაც მკვდრეთით უფალმა უთხრა და ახლაც ეუბნება, მიუხედავად მთელი მისი ადამიანური სისუსტისა – “მწყემსე ჩემი ცხვრები” (*იოან. 21, 15-19*). მათ დაინახეს მისი მემკვიდრე, რომელსაც ფილიპეს კესარიასში ქრისტე ასე მიმართავს: “შენ ხარ პეტრე, და ამ ქვაზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, და ჯოჯოხეთის ბჯენი მას ვერ მოერევიან” (*მათ. 16, 18*). პეტრე, თავისთავად, ქვა არ ყოფილა, ის სუსტი და მერყევი ადამიანი იყო. მაგრამ უფალმა ინება, რომ სწორედ ის გამხდარიყო ქვა; ინება ეჩვენებინა, რომ სწორედ სუსტი ადამიანის გზით ის თავად იცავს საკუთარი ეკლესიის სიმყარესა და ერთიანობას”.

ამის შემდეგ ბენედიქტე XVI-მ საგანგებოდ აღნიშნა, რომ არ შეეძლო, არ მოენახულებინა პოლონეთში აუშვიც-ბირკენაუს სიკვდილის საკოცნცენტრაციო ბანაკი –

“... უსასტიკესი ბარბაროსობის ადგილი, სადაც შეეცადნენ ისრაელის ხალხის გაუღეტვასა და ამით ღმრთის არჩევანის გაუქმებას – თავად ღმრთის გაძევებას ისტორიიდან. სწორედ ამ დროს, როცა ამ სასტიკმა ადგილმა სრულიად შემზარა, როცა იობის მსგავსად შევლადლები უფალს მისი მოჩვენებითი დაუსწრებლობით შეშინებული, თუმცა იმავდროულად დარწმუნებული, რომ ის თავის მღუპარებაშიც არ გვტოვებს და ჩვენთანაა – დიდი ნუგეში იყო ჩემთვის, როცა სწორედ მაშინ ცისარტყელა დავინახე. ცისარტყელა თითქოს პასუხი იყო – “დიახაც, მე ვარ, და ჩემი აღთქმის სიტყვები, რომელიც წარღვნის შემდეგ წარმოვთქვი, ახლაც ცხოველმყოფელია” (*მდრ. დაბად. 9, 12-17*).

ამის შემდეგ ბენედიქტე XVI თავის ვალენსიაში სტუმრობას შეეხო. როგორც გვახსოვს, ის საგანგებოდ ეწვია ქრისტიანულ ოჯახთა ტრადიციულ შეხვედრას, რომელიც შარშან ესპანეთში გაიმართა. წმიდა მამის სიტყვებით, “ამ ოჯახთა ქრისტიანულმა მოწმობამ სიხარულის უშველბეული ტალღა აღძრა. ეს იყო არა სწრაფწარმავალი და

ზედაპირული, არამედ ჭეშმარიტი სიხარული, რომელიც ტანჯვაშიც კი იბადება და ადამიანს ნამდვილ თავისუფლებას ანიჭებს.”

განსაკუთრებული ყურადღება წმიდა მამამ ბავარიაში თავის სტუმრობას მიაპყრო. ამის მიზეზი მხოლოდ ის როდი იყო, რომ მან მშობლიური ადგილები მოინახულა, არამედ რეგენსბურგის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციაც, რომელშიც პონტიფექსმა, ერთი მხრივ, ჭეშმარიტი დიალოგისა და, მეორე მხრივ, რწმენისა და გონების ურთიერთშეხამების მწვავე თემები წამოჭრა.

სიტყვის დასასრულს ბენედიქტე XVI-მ თურქეთში თავისი, არ შევცდებით თუ ვიტყვით, ისტორიული ვიზიტი განიხილა. მან აღნიშნა, რომ ეს იყო რეგენსბურგში წამოჭრილი დიალოგის თემის სრულფასოვანი გაგრძელება. საქმე ისაა, რომ კათოლიკე ეკლესია დასავლეთსა და აღმოსავლეთში სხვადასხვა გამოწვევებს უპასუხებს. თუკი დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ამ გამოწვევას რადიკალური სეკულარიზმი ეწოდება, რომელიც დემოკრატიის სახელით, მაგრამ სინამდვილეში სწორედ დემოკრატიის პრინციპების საპირისპიროდ საჯარო სივრციდან ქრისტიანობის გაძევებას ცდილობს; აღმოსავლეთში – პირიქით – პრობლემური სფერო ადამიანის უფლებები და აღმსარებლობის თავისუფლებაა. სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი თურქეთში, რომლის კონსტიტუცია ფორმალურად აღიარებს სინდისის თავისუფლებას, მაგრამ რეალური სურათი კანონისაგან განსხვავებულია.

დაბოლოს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მაინც წმიდა მამისა და მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოს I-ის საერთო წირვა და ერთიანი კომუნიკა, საიდანაც ჩვენ ვიგებთ, რომ დიდი დრო არაა დარჩენილი ამ ორი სამოციქულო ტახტის სრულ ერთიანობამდე.

იაკობ დუმბაძე

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

წმიდა ოჯახის დღესასწაული გორში

ბავშვებისათვის შობა ყველაზე ძვირფასი და სანატრელი დღესასწაულია, ამ დღეს მსოფლიოს ყველა ბავშვი სიხარულით ხვდება და დიდ სიურპრიზებს ელის. გორელი ბავშვებიც ასევე სულმოუთქმელად ელიან ამ დღესასწაულს. გორში განსაკუთრებული ბრწყინვალებით კი 31 დეკემბერი გამოირჩევა – წმ. ოჯახის დღესასწაული. ამ დღეს ხომ ეპისკოპოსი გვესტუმრება ხოლმე. წელსაც არ უღალატა ჩვეულებას მონსინიორმა ჯუზეპე პაზოტომ და ძვირფას სტუმრებთან ერთად გვეწვია. მათ შორის იყვნენ კამილიელთა ორდენის დები და ძმები, ასევე იტალიელი და ბათუმელი სტუმრები.

ბავშვებმა, მამა ვლადიმირის დაუღალავი შრომისა და თავიანთი მონდომების შედეგად, სტუმრებს შესანიშნავი წარმოდგენა გაუმათეს. მართლაც მშვენიერი სანახაობა გამოვიდა, და მაყურებელთა მხურვალე

ტაშიც დაიმსახურა. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ზეიმის შემდეგ ეპისკოპოსისგან საჩუქრებიც მიიღეს. სადამო სადღესასწაულო სადილით დამთავრდა. ვისურვებდი, რომ ასეთი ბედნიერი და მშვენიერი დღეები კვლავაც და კვლავაც გვქონოდა.

ნატალია ალავერდაშვილი

წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის ქრონიკა

დატვირთული იყო თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში ადვენტის პერიოდი, უპირველესად, მთელი ადვენტის განმავლობაში, ყოველ შაბათს, დილის 10 საათზე, მთელი მრევლისათვის (მღვდლებთან ერთად) აღესრულებოდა „დილის ქებანი“.

8 დეკემბერი – წმიდა მარიამ ღმრთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის დღესასწაული კიდევ უფრო გააღამაზა გამოფენამ, რომელიც მიეძღვნა პაპის, იოანე პავლე II-ის, 26 წლიან მოგზაურობა-მომლოცველობას მთელ მსოფლიოში და პაპ ბენედიქტე XVI-ს.

გამოფენა ოფიციალურად 10 დეკემბერს დილის 10 საათზე გაიხსნა. მისი ავტორია პოლონელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და სოციოლოგი, ბატონი იან გრუშინსკი.

დიახ, ეს ბედნიერი, ენერგიით სავსე, 68 წლის კაცი 26 წელია პაპებთან ერთად მოგზაურობს. მან მონაწილეობა მიიღო 70 მომლოცველობაში, ბოლო ხუთი მომლოცველობა პაპ ბენედიქტე XVI-თან ერთად აღასრულა. ბატონი იანი ნამყოფია ხუთივე კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანაში, გარდა რუსეთისა და ჩინეთისა.

გამოფენა ძალიან მდიდარი, მრავალფეროვანი და მართლაც არაჩვეულებრივი იყო. გამოფენამ შემდეგ საკათედრო ტაძარში გადაინაცვლა და იქაც მოხიბლა მრევლის წევრები და სხვა დამთვალიერებლები.

დიდი მადლობა ბატონ იან გრუშინსკის ასეთი ლამაზი დღეებისათვის, მისი გამოფენიდან ჩვენი თანამედროვე პაპების ცხოვრების მრავალ საინტერესო ეპიზოდს გავეცანით.

16 დეკემბერს საზეიმოდ დაიხურა სინოდი, რომელშიც ჩვენი ეკლესიის მრევლის დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა.

12 დეკემბერს, საკვირაო წირვაზე, მამა ადამმა თავის სამწყსოს წარუდგინა სანქტპეტერბურგის მოციქულთა დედოფლის – მარიამის სახელობის სასულიერო სემინარიის სტუდენტი მიხეილ სურმავა, რომელიც ერთი წლით პრაქტიკის გასაგლეჯად სამშობლოში ჩამოვიდა.

მიხეილ სურმავამ მაშინვე დაიწყო საშობაო სცენის დადგმაზე მუშაობა და არა მარტო დადგმაზე – ყველგან იგრძნობოდა მისი ხელი. მართალია, მან გარშემო შემოიკრიბა ენთუზიასისტი ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც მას ყველაფერში ეხმარებოდნენ, მაგრამ მაინც გასაკვირია, როგორ ასწრებდა ყველაფერს: ყოველ ხუთშაბათს კახეთში სიარულს, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ვიდეოკამერით გადაღებას, (მათ შორის, სინოდისას), საშობაო სცენის რეპეტიციებს,

მინისტრანტებთან მუშაობას, საშობაოდ ეკლესიის ახლებურად და საზეიმოდ მორთვას, ბაგის, ნაძვის ხისა და საკურთხევლის გამზადებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მიხეილის მონაწილეობა აუქციონსა და ლატარიაში, რომელიც, 31 დეკემბერს მოეწყო ეკლესიის ეზოში. აღსანიშნავია, რომ მამა მახეის ინიციატივითა მინისტრანტთა ჯგუფი ერთი კვირით გაემგზავრება კახეთში, – სწორედ ამ მომლოცველობაზე დაგეგმილი ხარჯებისათვის ჩატარდა ზემოსხენებული აუქციონი.

მიხეილი, თოვლის პაპის კოსტუმში გამოწყობილი, დიდი ჯოხით ხელში და მშვენიერი ფიფქიათი (ნინო ავაქოვა), მოუწოდებდნენ მრევლს მონაწილეობა მიეღოთ აუქციონსა და ლატარიაში. თანაც დაულაღვად ცეკვავენ და მღეროდნენ მშვენიერი მუსიკის თანხლებით. მუსიკოსები კი – ნეოკატეხუმენური გზის სხვადასხვა საკრებულოების წარმომადგენლები – დიდის თავგამოდებით უკრავდნენ. ყოველივე ეს მნახველზე დიდ ეფექტს ახდენდა. ეტყობოდა, რომ ეს სიახლე ყველას მოსწონდა და დიდი სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას ამ ლამაზ და სასარგებლო საქმეში.

25 დეკემბერი, ნანატრი შობა, ბრწყინვალე მწუხრი ეპისკოპოსის ჰომილიით. ყველა იყო ბედნიერი, საშობაო სცენის ყველა მონაწილეს კი დაურიგდა სამახსოვრო საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ ტელეარხმა „იმედმა“ 7 იანვარს გადასცა რეპორტაჟი, სადაც აჩვენეს კინოოპერატორ გოგა ხაინდრავას მიერ წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში გადაღებული საშობაო წმიდა წირვა და საშობაო სამზადისი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ ბატონ გოგას. ჩვენი მხრივ, მასაც და ტელეარხის მუშაკებსაც ვულოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და ვუსურვებთ წინსვლასა და ბედნიერებას.

31 დეკემბრის წირვა კიდევ უფრო გააღამაზა საზეიმოდ გამოწყობილმა წყვილთა სიმრავლემ. მოწვეული იყო მრევლის ყველა წყვილი. ეს საზეიმო წირვა აღქმული იქნა, როგორც განახლება და განმტკიცება ჯვრისწერისა და საწინდარი ოჯახის გაძლიერებისა.

ასევე შთამბეჭდავი აღმოჩნდა ოქტავის ბოლო დღე 1 იანვარი – წმიდა მარიამ ღმრთისმშობლის დღესასწაული და მშვიდობის დღე. მამა მახეიმ გააკვირვება ვერ დამალა მრევლის სიმრავლის გამო.

ამდენმა სიახლემ და საზეიმო განწყობამ ასევე გაასხივოსნა 6 და 7 იანვარს ჩატარებული უფლის გაცხადებისა და ნათლისღების დიდი დღესასწაულები.

11-14 იანვარს ეკლესიიდან მინისტრანტების ჯგუფი მამა მახეის ხელმძღვანელობით კახეთში გაემგზავრა დასასავენებლად და ღირსშესანიშნავი ადგილების მოსანახულებლად. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მინისტრანტები სოფელ ხიზაბავრის ეკლესიაში ცხოვრობდნენ. ეს დღეები მეტად დატვირთული და საინტერესო გამოდგა ყველა მათგანისათვის. ლოცვას აქტიურად უხამებდნენ ექსკურსიებს, მონინახულეს დავითგარეჯის მონასტერი, თელავში დაათვალიერეს ერეკლე II-ისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. თელავში ესტუმრნენ ახალგაზრდა ფრანგების ოჯახს, რომელიც უკვე რამდენი წელია საქართველოში, კერძოდ, თელავში

ცხოვრობს. მამა მანქიმ წმიდა წირვა აღავლინა მათ ოჯახში, რომლის დასრულების შემდეგაც მხიარული ვახშამი გაიმართა: მღეროდნენ და ცეკვავდნენ მასპინძლებიცა და სტუმრებიც.

კახეთში გატარებული დღეები მეტად დატვირთული იყო, მაგრამ მინისტრანტები ბედნიერნი და ემოციებით აღსავსენი დაბრუნდნენ, მათი გულები სავსე იყო სიახლითა და ურთიერთსიყვარულით.

ნადია ჩიტაძე

წმიდა ოჯახის დღესასწაული ახალშენში

31 დეკემბერს ახალშენის საკრებულოში წმიდა ოჯახისადმი მიძღვნილი წმიდა წირვა აღავლინა მამა კარლო დი სტეფანომ. სამწუხაროდ, ამ დღესასწაულს ესწრებოდა მხოლოდ 4 წყვილი, სადაც მათი ქორწინებისა და ჯვრისწერის განახლება უნდა მომხდარიყო.

ახალშენი იმერეთის რეგიონში მდებარე ერთი პატარა კათოლიკური სოფელია, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი შეინარჩუნა რწმენა და არ უღალატია კათოლიკური აღმსარებლობისათვის; სწორედ ახალშენში აიგო, თითქმის ორი საუკუნის შუალედის შემდეგ, პირველი კათოლიკური ეკლესია, რომლის კურთხევისადაც ათასამდე ადამიანი დაესწრო, ჩამოსული იყო ბევრი სტუმარი იტალიიდან. მაშინ ახალშენლები მეტად ამაყები და ბედნიერები იყვნენ, ამაყობდნენ თავიანთი კათოლიკობით, წმიდა წირვებზეც ბევრი მორწმუნე დადიოდა, დღესასწაულებზე კი ეკლესია გადაჭედილი იყო.

31 დეკემბრის წირვაზე კი ოციოდე ადამიანი და მათ შორის მხოლოდ ოთხი წყვილი იმყოფებოდა, გული დამწყდა და თვალები ცრემლებით ამევესო. დღევანდელი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობამ ქალაქებს და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებს მიაშურა სარჩოს მოსაპოვებლად და დარჩა ბევრი გამოკეტილი, დაცარიელებული, უპატრონო სახლი, ბავშვებით ასეთ მდიდარ სოფელში უკვე ბავშვიც სანატრელი გახდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ახალშენში მხოლოდ ორიოდ ბავშვი დაიბადა, სამაგიეროდ, ამ ერთი ციციქნა სოფელში ძალიან იმატა გარდაცვლილთა რიცხვმა.

ასევე, ძალიან მაწუხებს დღევანდელი რეალობაც: როდესაც ახალშენელები, შთამომავლობით კათოლიკენი, მართლმადიდებელ ეკლესიაში ნათლავენ საკუთარ შვილებს, აქაოდა ჩვენზე ზეწოლას ახდენენ და არ გვინდა ჩვენს შვილებს სამომავლოდ პრობლემები შევუქმნათო. მართალია, ეს ნაწილობრივ სიმართლეს შეეფერება, მაგრამ უპირველესი მიზეზი ჩვენი რწმენის, განათლებისა და საკუთარი აღმსარებლობის ისტორიის ცოდნის, ასევე, ინფორმაციის ნაკლებობაა. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები და მათი შვილები, სადაც უნდა წავიდნენ, მაინც მცირედმორწმუნენი იქნებიან და ესაა სწორედ სავალალო და თავშისაცემი.

აღბათ, სოფლის მოძღვარს, მამა კარლოსაც იგივე გრძნობა და სატიკვარი ჰქონდა, ამიტომაც თავის ქადაგებაში წმიდა ოჯახის ცხოვრებიდან სწორედ ნაზარეთის ეპიზოდი გაიხსენა და ახალშენის მცხოვრებლებს გაახსენა, თუ რა იყო იესოსათვის უფრო ფასეული:

“...მაოცებს ღმრთის არჩევანი. იგი ამ წუთისოფლად მხოლოდ ერთხელ მოდის, რათა საძირკველი ჩაუყაროს იმ სამეფოს, რომელიც ყველა ადამიანის, ყველა რასის, ყველა დროის ხალხისა იქნებოდა. რა გააკეთა იესომ ნაზარეთში? იგი ისევე ცხოვრობს, როგორც ნებისმიერი პატარა ბავშვი, ღურგლის ცხოვრებით. მაგრამ რა ფასი ჰქონდა ამ ყველაფერს მისთვის? ისინი ხომ ასეთი უმნიშვნელოა, ჩვენს თვალში მაინც: სოფელი, ხელოსანი, სოფლის ცხოვრება, სოციალური პირობები. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამას მისთვის? რომელი ჩვენგანი, რომელსაც უფლება ექნებოდა თვითონვე დაეგეგმა საკუთარი ცხოვრება, არ აირჩევდა დიდ ქალაქს, საუკეთესო სოციალურ ურთიერთობებს, კარგ სამსახურს, სახელის მოხვეჭას? იესო ჩვენს ფასეულობებს თავდაყირა აყენებს! ასე ცხოვრობს ნაზარეთის ოჯახი: ღმრთისმშობელი – დიანახლისი, იესოს მიწიერი მამა – ხელოსანი, მათი მორჩილი იესო, რომელიც ღარიბი სოფლის საღურგლო საქმეებით იყო დაკავებული. ხომ შეეძლო მას, რამე შედეგრი მაინც დაეტოვებინა? არაფერი ამის მსგავსი! წმიდა წერილი შეგვაგონებს, რომ უნდა დავტკბეთ იმ უბრალოებით, რაც ადამიანებს ღმრთისაგან ებოძათ.

ახლანდელ სოციალურ რევოლუციაში ოჯახი საფრთხეშია. მისი ტრადიციული უფლება, მისი ზნეობა, ფუნქცია კამათის საგნად არის ქცეული. მოდით მივანდოთ ჩვენი ოჯახი უფალს და ვითხოვოთ მისი ნათელი, რათა უკეთ შეგვაცნობინოს, რისი გაკეთების უნარი გვაქვს“.

მამა კარლოს მსგავსად მეც მთელი გულით მინდა მივენდო უფალს, რომელიც არც ერთ ოჯახს და, მით უმეტეს, არც ერთ სოფელს არ დატოვებს უნუგეშოდ: ყველა სოფელი კვლავ გაივსება ბავშვებით, ეკლესიები კი – მრევლით.

იმედი მაქვს, ოჯახის მომავალი დღესასწაულისას უფრო მეტი ახალშენელი მორწმუნე და წყვილი მიიღებს მონაწილეობას წირვაში, კვლავ გამრავლდება და გაივსება ჩემი სოფელი.

ციცინო ხითარიშვილი

საშობაო ზეიმი ახალციხეში

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით განსაკუთრებული მზადება დაიწყო ახალციხის საკრებულოში. კატეხისტი მარია დიდიმამიშვილი საშობაო სცენისთვის გაცხოველებითა და დიდი მონდომებით ამეცადინებდა ბავშვებს, ემზადებოდნენ ახალგაზრდებიც, რომელთაც პირველი ზიარების მადლი უნდა მიეღოთ. მათ უკვე იციან, რომ იესო ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარებით უფრო მეტად მიუახლოვდებიან უფალს.

დადგა შობის ბრწყინვალე დღესასწაულიც. საკრებულოში დიდიდანვე დაიწყო ფუსფუსი, განსაკუთრებით ახალგაზრდები და

ბავშვები აქტიურობდნენ. საგულდაგულოდ მორთეს საკრებულოს სამლოცველო სახლი, სადღესასწაულო წირვაზე სამლოცველო გადაჭედილი იყო.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს სამმა ახალგაზრდამ: ნინო, ნონა და თინათინ კაჭკაჭიშვილებმა მიიღეს პირველი ზიარება. წირვას მამა ზურაბ კაკაჩიშვილი აღავლენდა, მან ყველას მიულოცა შობის ბრწყინვალე დღესასწაული, განსაკუთრებით კი – მათ, ვინც პირველად ეზიარა ქრისტეს საიდუმლოებებს.

წირვის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებმა და ბავშვებმა საკუთარი ძალებით დიდი საშობაო ზეიმი გამართეს: წარმოადგინეს სცენა იესოს დაბადებიდან, იყო მრავალი სიმღერა და ლექსი. მათმა შემოქმედებამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც მადლიერმა მრევლის წევრებმა მხურვალე ტაშით გამოხატეს. კონცერტის ბოლოს მამა ზურაბმა ბავშვებს საშობაო საჩუქრები გადასცა და ბედნიერ და აყვავებულ საქართველოში ცხოვრება უსურვა.

შობის შემდეგ ახალციხის საკრებულოში კიდევ ერთი ბედნიერი დღე – 31 დეკემბერი – წმ. ოჯახის დღესასწაული აღინიშნა, რომლის დროსაც ოჯახურმა წყვილმა: ელგუჯა და მანანა მანველიშვილებმა 25 წლის წინ დადებული ჯვრისწერის ფიცი განაახლეს. ისინი მამა ზურაბმა გულმხურვალედ დალოცა და სამახსოვრო საჩუქარიც უძღვნა.

ახალციხის საკრებულოს სახელით, მინდა შობის ბრწყინვალე დღესასწაული და ახალი წელი მიულოცო საქართველოში მცხოვრებ ყველა კათოლიკეს. დაე, ღმერთმა დაგლოცოთ გაგაძლიეროთ რწმენაში და თქვენზე გადმოღვაროს სული წმიდის მადლი!

ელზა ზუბაშვილი

სამი წიგნის წარდგენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

2006 წელი საქართველოს კათოლიკეთათვის მნიშვნელოვანი იყო საგამომცემლო საქმიანობით. მამა გაბრიელე ბრაგანტინისა და ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის შესახებ უკვე არაერთჯერ გაუწყეთ. ამჯერად გვსურს მოვითხროთ კიდევ სხვა სამი წიგნის შესახებ.

მამა ლუიჯი მანტოვანიმ წარმატებით დაასრულა თავისი 10 წლიანი თავაუღებელი შრომა და წარმატებული შედეგიც ხელთ გვაქვს: **“იტალიურ-ქართული ლექსიკონი”** – 65 ათასი სიტყვით, ბრწყინვალე პოლგრაფიული გამოცემა, ჭეშმარიტად სამაგიდო წიგნი ყველა იმ იტალიელისათვის, ვისაც ქართულის შესწავლა სურს და ყველა იმ ჩვენი თანამემამულისათვის, ვისაც იტალიურის სწავლა გადაუწყვეტია. მამა ლუიჯი და მისი თანაავტორი ქალბატონი მარინა ოცხელი არ აპირებენ გაჩერებას და გვპირდებიან ამგვარივე ფართოფორმატიანი ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემას.

ვატიკანის II კრებამ უდიდესი რეფორმა განახორციელა კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებაში. ამ ისტორიული კრების დოკუმენტები კარგა ხანია თარგმნილი და გამოცემულია ყველა ცივილიზებული ხალხის ენაზე. სამწუხაროდ, ქართველ ქრისტიანებს, კათოლიკეებსა თუ

არაკათოლიკეებს, ისტორიკოსებსა თუ რელიგიათმცოდნეებს, ყველას, ვისაც სჭირდებოდა და უხდებოდათ კრების მასალებზე მუშაობა, საშუალება არ ჰქონდა, მშობლიურ ენაზე წაეკითხათ ეს დოკუმენტები. სწორედ ეს ხარვეზი გამოასწორა ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრმა, რომელმაც გამოსცა ლელა ალექსიძის მიერ ქართულად სრულად თარგმნილი ეს კრებული: **“ვატიკანის II კრება: კონსტიტუციები, დეკრეტები, დეკლარაციები”**.

სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტმა გამოსცა პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის სახელმძღვანელო **“ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის საკითხები”** (პირველი ნაწილი).

სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტის ინიციატივითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში გაიმართა ზემოთ აღნიშნული სამი წიგნის ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა.

ამ სტრიქონების ავტორს პატივი ერგო, გაეხსნა წიგნების პრეზენტაცია. პირველი მისაღმებით მსმენელთა წინაშე წარდგა წმიდა საყდრის დესპანი სამხრეთ კავკასიაში მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი. მისმა მაღალყოვლადუსამღვდლოესობამ ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიაში კათოლიკეთა დიდ ღვაწლს, რაც კოონკრეტულად კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში საუკუნეების მანძილზე უხვად ვლინდებოდა. მონსინიორმა გამოსვლის ბოლოს დამსწრეთ წაუკითხა წმინდა მამის, ბენედიქტე XVI-ის, სამადლობელი წერილი მამა ლუიჯი მანტოვანის მიმართ ეგზოში შრომატევადი საქმის წარმატებით დასრულებისათვის. დამსწრეთ, აგრეთვე, მიესალმა საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშე და თბილისის აღ. დიუმას ცენტრის დირექტორი ფრანსუა ლორანი, რომელმაც გულწრფელი სურვილი გამოთქვა, რათა საზოგადოებამ ასეთ მაღალ დონეზე შესრულებული ფრანგულ-ქართული ლექსიკონიც იხილოს. დიდი მადლობა გადაუხადა წიგნების ავტორებს სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. პაპის ბიბლიის ინსტიტუტეს ეგზეგეტმა, თეოლოგიის დოქტორმა მღვდელმა პიერ დიუმულენმა ვატიკანის კრების დოკუმენტების გამოცემის მნიშვნელობაზე გაამახვილა დამსწრეთა ყურადღება, თეოლოგმა ვაჟა ვარდიძემ და ფილოსოფმა ზაზა შათირიშვილმა ისაუბრეს დოკუმენტთა კრებულის შინაარსზე, მის მიერ ქართული თეოლოგიის განვითარებაში შეტანილ წვლილზე. კრებულის მთარგმნელმა პროფესორმა ლელა ალექსიძემ ისაუბრა იმ სიძნელეებზე, რასაც წააწყდა ესოდენ რთული და სპეციფიკური ტექსტების თარგმნისას, რასაც ფაქტიურად ანალოგი არ მოეპოვება ქართულ სინამდვილეში. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამაგი დასდო თარგმანზე მუშაობისას, განსაკუთრებით კი პროფესორ მერაბ ღაღანიძეს, რომელმაც მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია სპეციალური ტერმინოლოგიის თარგმნისას.

მამა ლუიჯი მანტოვანი ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა პრეზენტაციას, მაგრამ მისი მისაღმება წაიკითხა წიგნის თანაავტორმა

მარინა ოცხელმა, რასაც იქ მყოფნი მქუხარე ტაშით გამოეხმაურენ, რითაც მალე გამოჯანმრთელება და საქმიანობის გაგრძელება უსურვეს მხცოვან მეცნიერსა და სასულიერო პირს.

ქალბატონმა ქუქუნა ფეიქრიშვილმა თავისი წიგნის წარდგენისას ისაუბრა სახელმძღვანელოს სპეციფიკაზე, მადლობა გადაუხადა სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, პირადად მამა პიერ დიუმულენს, გაწეული მატერიალური მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მეორე წიგნსაც დროულად წარადგენს გამოსაცემად.

სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის რექტორმა მამა პიერ დიუმულენმა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს სახელით პრეზენტაციაზე მყოფ ყველა ოფოციალურ პირს, ასევე ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა წარმოდგენილი წიგნების სამახსოვრო ცალები. 2006 წელს გამოცემული ლიტერატურის პრეზენტაცია წარმატებით დასრულდა, ვიმედოვნოთ, რომ 2007 წელი ასევე უხვი და საინტერესო იქნება წიგნების გამოცემის თვალსაზრისით და კვლავაც მრავალ სიხარულს მოგვანიჭებს წიგნის მოყვარულებს.

საქართველოში მოქმედი რომის კათოლიკე ეკლესია, 1629 წლიდან მოყოლებული (როდესაც პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოიცა რომის საყდრის სტამბაში, – სხვათა შორის, ის პირველი წიგნი ქართული-იტალიური ლექსიკონი იყო), დღემდე არ აკლებს ზრუნვას ქართველ მკითხველს და ვიმედოვნებთ, არც მომავალში უდალატებს ნიკიფორე ირუბაქიძისა და სტეფანო პაოლინის მიერ დაწეულ ტრადიციას, რომელსაც ამჟამად სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია, თეოლოგიის ინსტიტუტი და ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი ახორციელებენ. ბოლო წლებში მათ არაერთი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნით გაგვახარეს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ქურნალ „საბას“ მკითხველებს

მე ბათუმელი კათოლიკე ქრისტიანი ვარ და მსურს გაგიზიაროთ ჩემი ნააზრევი და ნაფიქრალი.

1995 წლამდე მონათლული ქრისტიანი ვიყავი, მაგრამ სარწმუნოებისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. ვიყავი ე. წ. ტრადიციით კათოლიკე ქრისტიანი და გარდა „მამაო ჩვენოსი“ და ორიოდე ლოცვისა, პირჯვრის გადაწერისა და სანთლების ანთებისა, არაფერი გამეგებოდა. მამა გაბრიელეს მიერ ბათუმში შეკრებილ მრევლთან ერთად დავიწყე ქრისტიანული მოძღვრების შესწავლა. გავიარე კატეხიზაცია, მივიღე ზიარება, მირონცხება, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი „კამპოსკოლაში“, გავიარე კატეხიზაციის ორწლიანი კურსი ორპირში. ყოველივე ამან ბევრი რამ შემძინა სულიერების მხრივ, ჩამომიყალიბდა დილის და საღამოს ლოცვების, ბიბლიის ყოველდღიური კითხვის ჩვევა, რაშიც ძლიერ დამეხმარა ჩვენი საეკლესიო კალენდარი.

გამუდმებით ვფიქრობ ქრისტიანთა შორის განხეთქილებაზე. რამ გამოიწვია ეს გათიშულობა? როდესაც მაცხოვარი ჩვენი, ადამიანების,

გულისათვის ჯვარს ეცვა, ჩვენი სიყვარულისთვის დაითმინა იმდენი ტანჯვა და შეურაცხყოფა, როგორ ვუპასუხეთ ჩვენ მის სიყვარულს? ქრისტე არ მოსულა რომელიმე კონკრეტული ერის, რასის, სქესის ან ადამიანთა ჯგუფის სახსნელად. ღმრთის მიერ მისი მხოლოდშობილი ძის ადამიანებისადმი წარგზავნა მისი სიყვარულის უდიდესი გამოხატულებაა ჩვენდამი. ქრისტე ასე მიმართავს მოწაფეებს: „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით; ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც მე გიბრძანეთ (მათ. 28).

ქრისტეს მცნებათაგან ერთ-ერთი უმთავრესია სიყვარულის მცნება. სერობისას იესო ეუბნება თავის მოწაფეებს: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოან. 14, 34). იესო გვასწავლის: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ მათი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით“ (მათ. 6, 44).

იუდეველთა დიდმა ნაწილმა არ მიიღო ქრისტეს სწავლება, რადგან ისინი ელოდნენ მესიას, რომელიც მათ უპირატესობას მისცემდა სხვა ხალხებზე, გააბატონებდა მათ. ისინი ზრუნავდნენ არა სულიერზე, არამედ ხორციელზე. ვფიქრობ, ეს არა მარტო იუდეველთა, არამედ საერთო, ადამიანური სისუსტეა. ქედმაღლობა, შური, ამპარტავნობა, საკუთარი ფიზიკური უპირატესობით ტკობა მიზეზია ადამიანთა შორის განხეთქილებისა. როგორ შეიძლება ადამიანს თავი მორწმუნედ მიაჩნდეს, გარეგნულად ასრულებდეს ქრისტიანულ მოვალეობებს, გულში კი შური და ბოღმა ჰქონდეს?! განა ეს არ იყო საფუძველი დიდი განხეთქილებისა და, შედეგად, ქრისტეს ეკლესიის გაყოფისა?

საყოველთაო ქრისტიანულ ეკლესიას მოიხსენიებენ კათოლიკედ, ხოლო აღმოსავლეთისას – მართლმადიდებლად. როგორ შეიძლება ქრისტეს ეკლესია იყოს კათოლიკე, ანუ საყოველთაო და არ იყოს მართლმადიდებელი, ან იყოს მართლის მადიდებელი და არ იყოს საყოველთაო? ეს ხომ აბსურდია! ქრისტეს მოძღვრება, ქრისტეს ეკლესია კათოლიკე და, ამავე დროს, მართლმადიდებელია. განა ეს არ გვიწერია მრწამსში კათოლიკეებსაც და მართლმადიდებლებსაც? ამის გამო კი განხეთქილება ითესება და ამით დიდ ტკივილს ვაყენებთ ჩვენთვის ჯვარცმულ იესოს.

ვფიქრობ, მცდარია აგრეთვე, როდესაც ეკლესიას რომელიმე ერის კუთვნილებად ასახელებენ, ესეც ადამიანური მიკერძოებულობიდან გამომდინარეობს. ქრისტიანული ეკლესია არის უფლის ტაძარი, ის შეიძლება იმყოფებოდეს და მოქმედებდეს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ის უფლის და მისი ერის კუთვნილებაა. ღმერთი არ ანსხვავებს ადამიანებს რასის, ეროვნებისა და ფიზიკური ნიშნების მიხედვით, მისთვის ყოველი ადამიანი ძვირფასია. ჩვენ ვაღდებულნი ვართ მის დიდ სიყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხოთ. ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი ერი, მაგრამ ამ სიყვარულმა არ უნდა გამოიწვიოს სხვაზე უპირატესობის გრძნობა. როგორც წმიდა პავლე თავის წერილში კორინთელთა მიმართ გვასწავლის, არ უნდა იყოს ჩვენს შორის შური და დავა, არ უნდა იყოს ზოგი პავლესი, ზოგი აპოლოსი, ზოგი ვისი და ზოგი ვისი...

უნდა ვეცადოთ სრულყოფილ ჩვენი ცხოვრება უფლის მცნებათა შესაბამისად და ჩვენს გულებში აღმოვფხვრათ შური და პირადული ამბიციები, ადამიანთა შორის განხეთქილების კერა.

„საბას“ მკითხველებს ვთხოვ, გამოთქვან ამ საკითხების შესახებ საკუთარი აზრი.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

პირველი შედეგების შეჯამება

დასრულდა „სი არე სის“ მიერ დაფინანსებული პირველი პროექტი, რომელიც საკათედრო ტაძრის მრევლის ახალგაზრდა წევრთაგან საქველმოქმედო საქმიანობის მოხალისეთა მომზადებას ითვალისწინებდა. პროექტის კოორდინატორი ნ. ჭანტურია. ექვსდღიანი ტრენინგების შედეგად ათმა ახალგაზრდამ გაიარა საგანგებო მომზადება, რათა შემდგომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ როგორც საქველმოქმედო სამოხალისეო საქმიანობა, ასევე პროექტების მომზადება-მოზიდვა. რა თქმა უნდა, მათ ჯერ მხოლოდ თეორიული კურსი გაიარეს და პრაქტიკული გამოცდილება ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ, მაგრამ მთავარი მოხალისეობრივი სულისკვეთება და ახალგაზრდული ენთუზიზმი, რაც, ალბათ, წარმატების საწინდრადაც უნდა იქცეს. მოხალისეებს სამომავლო მხარდაჭერას საკათედრო ტაძრის სამრევლო საბჭოც ჰპირდება, კამილიელთა ორდენიც და „საქართველოს კარიტასიც“, კარგად შედეგინილი პროექტის შემთხვევაში კი – „სი არე სიც“, თუმცა ყველაზე მთავარი მაინც შრომისმოყვარეობა და ქრისტიანული უანგარო სიყვარულია. ერთ კარგი საქმე ამ პროექტმა უკვე გააკეთა — მსგავსი სულისკვეთებით აღსავსე ათი ახალგაზრდა ერთმანეთთან დაამეგობრა და, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთიანი მონდომების პირობებში აზრი მატერიალიზდება, სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ უახლოეს ხანში ამ შესანიშნავმა ათეულმა რეალური საქმიანობაც წარმართონ საქველმოქმედო-სამოხალისეო კუთხით. ყოველ შემთხვევაში ამის სურვილი მათაც, სამომხმარებლო სფეროსაც და დონორებსაც აქვთ და გაზაფხულის დადგომიდან მოხალისეთა ახალი-ახალი წარმატებების მოლოდინში უნდა ვიყოთ. მომავალში ჟურნალი „საბა“ სისტემატურად გაგაცნობთ კათოლიკური საკრებულოების მოხალისეთა ჯგუფების საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ.

ნუგზარ ბარდაველიძე

გიყვარდეს და ისურვე სიცოცხლე!

შეუძლებელია არ გიყვარდეს სიცოცხლე: იგი უპირველესი და უპირობესი სიკეთეა თითოეული ადამიანისთვის. სიყვარულიდან იბადება სიცოცხლე, ხოლო სიცოცხლეს სწყურია და სჭირდება სიყვარული. ამიტომაც, ადამიანის სიცოცხლე უნდა გაიცეს, რადგან სწორედ გაცემაში პოულობს იგი თავის სისრულეს; არასოდეს არ უნდა მოხდეს სიცოცხლის

დამცირება, მით უმეტეს, მისი განადგურება. ცხადია, ადამიანის სიცოცხლის ყველა დღე ერთმანეთს ვერ დაემსგავსება: არის სისხარულისა და ტანჯვის დრო, კმაყოფილებისა და გაცრუების დრო, სიჭაბუკისა და სიბერის დრო, სიმრთელისა და სნეულების დრო. ზოგჯერ ვაფასებთ სიცოცხლეს და მადლობას ვუძღვნით ღმერთს “სიცოცხლის მოყვარულს” (სიბრ. 11,26), ზოგჯერ კი ჯაფა, სნეულება, მარტობა სიცოცხლეს მძიმე ტვირთად განგვაცდევინებს, თუმცადა, სიცოცხლის შეფასება არ უნდა მოხდეს რამე პირობაზე დაყრდნობით, ან იმ გრძნობებიდან გამომდინარე, რაც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპს ახლავს თან; იგი ყოველთვის უპირობაა და უნდა მივიჩნიოთ როგორც საკუთრივ ჩვენთვის, ასევე სხვებისთვის.

სიცოცხლე, ნებისმიერი სიცოცხლე, ვერასოდეს გახდება “ჩვენი”. სიცოცხლისადმი ნამდვილი სიყვარული, რაც თავისუფალი და გაუხრწნელია ეგოიზმიდან თუ ინდივიდუალიზმიდან, შეუთავსებელია მფლობელობის იდეასთან, რომელსაც იმ აზრამდე მივყავართ, რომ ყველაფერი არის “ჩემი”, საკუთრება; “ჩემი” – სრული მესაკუთრეობის, მანიპულირების გაგებით. “ჩემი”, ანუ მას შემძღვია ის გაუგებრობა, რაც მომესურვება: ჩემი მეუღლე, ჩემი შვილები, ჩემი სხეული, ჩემი აწმყო და ჩემი მომავალი, ჩემი სამშობლო, ჩემი საქმე, თვით ჩემს განკარგულებაში ჩაყენებული ღმერთიც, იქამდე, რომ მისი სახელით შეგვიძლია გავამართლოთ მკვლევლობა, გავამართლოთ სისხლისღვრა, სიცოცხლის განადგურება.

თუკი ღრმად დავფიქრდებით, შევამჩნევთ, რომ სიცოცხლე ის უზენაესი სიკეთეა, რაზეც არავინ არ უნდა აღმართოს ხელი, თუნდაც ეს სუფთა ზოგადსაკაცობრიო კუთხით იყოს განპირობებული. სიცოცხლის ხელშეუხებლობა ერთადერთი და უკამათო პრინციპია, საიდანაც უნდა ამოვიდეთ, თუკი სამართლის, თანასწორობისა და მშვიდობის უზურნველყოფა გვწადია. ვისაც რწმენის მადლი გააჩნია, იცის, რომ ადამიანის სიცოცხლე გაცილებით აღმატებულია არსებობის იმ ხანაზე, რაც დაბადებასა და გარდაცვალებას შორის პერიოდს მოიცავს: მისი სათავე სიყვარულის აქტიდან იწყება, სადაც მშობლები “შემოქმედი ღვთის სიყვარულის თანაშემწეებად” არიან მოწოდებულნი. თითოეული ადამიანის სიცოცხლე თავის ნაჭდევს ატარებს და იგი მარადისობისთვის არის განკუთვნილი.

სიცოცხლე არა მხოლოდ უნდა დავიცვათ, წავახალისოთ, აღვნიშნოთ, ვიზრუნოთ და გავზარდოთ, არამედ გაბედულად უნდა შევიყვაროთ და უნდა ვისურვოთ კიდევ, ანუ ვისურვოთ მისი ჭეშმარიტი სიკეთე, ვინაიდან სიცოცხლე მოგვენდო და ჩვენ არ ვართ მისი უზენაესი ბატონ-პატრონი, არამედ ერთგული, მხურვალე დამცველნი.

ვისაც სიცოცხლე უყვარს, სურს ჩაწვდეს მის დანიშნულებას, ანუ შეიცნოს სიკვდილის არსი, მისი მიღების ფორმა; თუმცა, ცხადი უნდა იყოს, რომ სიცოცხლის უფლება ადამიანს არ აძლევს იმის ნებას, რომ თავად გადაწყვიტოს როდის და როგორ დაუსვას თავის სიცოცხლეს წერტილი. სიცოცხლის სიყვარულით ვებრძვიტ ტკივილს, ტანჯვას,

დეპრესიას – სიცოცხლის მტრებს – სრული გონივრულობით და მეცნიერული მონაპოვრით.

ვისაც სიცოცხლე უყვარს, კი არ ართმევს, არამედ მიუძღვნის, კი არ ისაკუთრებს, არამედ სხვების სამსახურში აყენებს. სიცოცხლის სიყვარული იმასაც ნიშნავს, რომ არ გამოსტაცო იგი სხვას, თუნდაც ყველაზე პატარა და დაუცველ ახალშობილს, მეტადრე, მძიმე განსაცდელში მყოფს. იმაზე მეტი არაპუმანურობა რა შეიძლება იყოს, რაც გახლავთ *ვევენტიკური სელექცია*, რომელზეც პირდაპირი და ირიბი გზით დღეს უკვე საუბრობენ, ზოგჯერ კი პრაქტიკაში ახორციელებენ. არ შეიძლება დავუშვათ, რომ რომელიმე ადამიანის სიცოცხლე, პირველივე გაელვებაშიც კი, ნაკლებ ღირსეულად ჩაითვალოს ან მეცნიერული კვლევის საგნად იქცეს. შვილის ყოლის სურვილი უფლებას არ გვაძლევს ნებისმიერ ფასად გავაჩინოთ იგი. ბავშვი უნდა ჩაისახოს ქალის წიაღში, თუმცა შესაძლებელია მისი შვილად აყვანაც. შვილებაც – ეს ხომ იგივე სასწაულებრივი დაბადება იქნება.

ჩვენი დროება, ჩვენი კულტურა, ჩვენი ერი ნამდვილად ამჟღავნებს სიყვარულს სიცოცხლის მიმართ. ყველას, ვისაც გულთან მიაქვს ადამიანის სიცოცხლე, უნდა აინტერესებდეს აბორტის ჭრილობა, ევთანასიის დაკანონება, ასევე დემოგრაფიული კლების მზარდი პრობლემა, ქალებისა და მამაკაცების დამამცირებელი ექსპლუატაციის შემთხვევები, განსაკუთრებით ემიგრანტებისა, რომლებიც თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების საძებნელად ჩამოვიდნენ. საჭიროა მყარად შევცვალოთ გეზი და დავადგეთ სიცოცხლისადმი სიყვარულის წმინდა გზას. მხოლოდ “არა“-ს თქმა არ იკმარებს, თუკი ჩვენს მიერ ნათქვამი “დიახ” ძლიერად და წინდახედულად არ გაცხადდება, რაც მხარდაჭერას აღმოუჩენს ჯვრისწერაზე დამყარებულ ოჯახებს, ახალგაზრდებსა და გაჭირვებულებს.

გამორჩეული ყურადღებით და იმედით უნდა ვუყურებდეთ ახალგაზრდებს, ხშირად სიყვარულში და მოლოდინში იმედგაცრუებულებს. ახალგაზრდებს, რომლებსაც შეუძლიათ უპირობოდ, იმ დიდსულოვნებით უყვარდეთ, რაც დღეს უფროსების უმრავლესობას აკლია, მათ შეუძლიათ უსიყვარულობით გამოწვეულ კრიზისში ჩავარდნაც და ცხოვრებაზე აზრის დაკარგვით საკუთარი სიცოცხლის ბეწვზე დაკიდებაც, ან სულაც გაუსაძლის ტვირთად მიჩნევა, რის მაგივრად ისეთ სასიკვდილო თამაშებში შეიძლება გადაეშენენ, როგორცაა ნარკოტიკები ან საშიში გართობები. ამის წინაშე გულგრილნი ვერავინ დავრჩებით. როგორც მწყემსებს, ამასთან დაკავშირებით გვინდა მადლობა გადავუხადოთ და გავამხნევოთ მრავალი ზრდასრული ადამიანი, რომლებიც დღევანდელობაში იმ ახალი ცნებით ცხოვრობენ, რაც იესომ მოგვცა – ახალგაზრდების სიყვარული საკუთარი თავით. მადლობა მშობლებს, მღვდლებს, აღმზრდელებს, მასწავლებლებს, სიცოცხლის ყველა დამცველს, რომლებიც ზრუნავენ ახალგაზრდებზე და იღებენ მათ ენერგიულ ნაბიჯებს, მათ პრობლემებს და მათ წინაღობებს. მადლობა ასევე მათ, ვინც ახალგაზრდებში აბანდებენ რესურსებს, რათა მათ

მშვიდი მომავალი შეუქმნან, განსაკუთრებით, ფორმაციის და ღირსეული სამსახურის სახით.

ღიას, ადამიანის სიცოცხლე ერთი დიდი თავგადასავალია მათთვის, ვისაც თავდაუზოგავად, უანგაროდ, უპირობოდ და ყოველგვარი ინტერესების გარეშე უყვარს; პირველ რიგში, ეს არის ძღვენი და მისი სახით ვაღიარებთ მამის სიყვარულს და ვგრძნობთ მის ნაზ და აღერსიან ზრუნვას, განსაკუთრებით იმ წუთებში, როდესაც სიცოცხლე ყველაზე უსუსური და დაუცველია.

მაშასადამე, სიცოცხლის სიყვარული და სურვილი ნიშნავს არ დავიშუროთ ძალისხმევა, რათა ყველა ადამიანმა სიცოცხლე ძღვნად მიიღოს და დაიცვას ის დიდი სიფრთხილით.

იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენცია
რომი, 21 ნოემბერი, 2006

ბათუმი

პოეზიის სვეტი

ილია ჭავჭავაძე

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგავარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არცა დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვეყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე – არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

1858

ქრისტიანული ოჯახი

საოჯახო სამწესო მსახურების მუშაკთა ფორმაცია სინოდის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელება

ეკლესიას თავისი რეალობის გადმოცემა მრავალგვარი საქმიანობით უწევს. მათ შორის გახლავთ საოჯახო სამწესო, ანუ პასტორალური საქმიანობა, რომლის მიზანია “ქორწინებისა და ოჯახის სახარების” უწყება, აღნიშვნა და გაცოცხლება, ოჯახებისადმი თანადგომა და მხარდაჭერა, რათა ისინი მოვალეობის გრძნობით ეკიდებოდნენ თავიანთ მოწოდებას ეკლესიასა და საზოგადოებაში. საოჯახო სამწესო საქმიანობა,

თავის მხრივ, “სამოქმედო პრინციპად და პასუხისმგებელ სუბიექტად თავად ეკლესიას მიიჩნევს, მთელი თავისი სტრუქტურებითა და მუშაკებით”. თუკი ადამიანებში არ გამოიხატა იმის სურვილი და სიმხნევე, რომ ნამდვილად ქმედითი და სტაბილური გახადონ საოჯახო პასტორალური საქმიანობა, ვერ ვიტყვით, რომ ეკლესიაში და საზოგადოებაში ახალ კულტურას დაენერგავთ ოჯახებისა და ქორწინების სასარგებლოდ.

ვფიქრობთ, რომ ყველაზე უშუალო და ნაყოფიერი ადგილი საოჯახო პასტორალის უფრო წარმატებული საქმიანობისთვის არის საკრებულოები, რომლებიც თავად იზრუნებენ წყვილის შერჩევაზე, რომლებსაც შეგნებული ექნებათ საკუთარი ცოლქმრული მსახურება უფლის წინაშე და მზად იქნებიან სხვების დასახმარებლად. დღეს უკვე აქტუალურია სათანადოდ მომზადებული წყვილების არსებობა ჩვენს ეკლესიაში, როგორც აღინიშნა კიდევ სინოდის სესიებზე; საჭიროა ქორწინებაში დაწინდულთა მოსამზადებელი პროგრამის შექმნა და ორგანიზება; სხვადასხვა თაოსნობების მიმართ გულისხმიერების გამოჩენა. ყოვლად აუცილებელია განათლებული და მზადმყოფი მუშაკების ფორმირება, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან “ღმრთის სასუფეველი მიწიერ საგნებთან კავშირში ექებონ და ღმრთის ჩანაფიქრით მართონ ისინი”. ეს წყვილები ეკლესიის ჭეშმარიტი გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, ამისათვის მათ უნდა მიიღონ საკმარისი საზრდო ბიბლიურ, ანთროპოლოგიურ, თეოლოგიურ, მორალურ, კანონისტიკურ და სულიერ საკითხებზე ჯვრისწერისა და ოჯახის თემატიკის ირგვლივ. მიიღონ ასევე დახმარება პედაგოგიური და ფსიქოლოგიური კუთხით, რათა სწორი ურთიერთობების დამყარება შეძლონ ცალკეულ ადამიანებთან და სხვადასხვა ოჯახებთან.

სწორედ ეს მიზნები ამოძრავებდა საოჯახო პასტორალურ კომისიას, რომელიც უკვე წლებია, წარმატებით ახორციელებს დაკისრებულ მოვალეობას. საქართველოში საკრებულოთა სიმრავლემ დღის წესრიგში დააყენა ახალი წყვილების მომზადების საკითხი.

წყვილების ფორმირების მიზნით გაიმართა შეხვედრები ა.წ. 8, 9, 10 დეკემბერს წეროვნის სახლში.

როგორც წერილი ამცნობდა საკრებულოს მოძღვრებს, საკრებულოში უნდა მოქმედებოდა მეუღლეთა წყვილი, რომელიც სამომავლოდ მიიღებს შესაბამის ფორმაციულ მომზადებას, რათა იქცეს სხვა ოჯახების ანიმატორად. ამ წყვილს მოეთხოვება პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და მრევლის წინაშე. სულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის კათოლიკური სამრევლოებიდან 10 წყვილი შეიკრიბა: თბილისის მარიაშვილის ზეცადადევანების ტაძრიდან – ლალი და ნიკო კახიანები, ანა და დათო ავეტისიანები, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძრიდან – სვეტა და გეგორქ ავდალიანები, ქუთაისის სამრევლოდან – ნანა და ვახტანგ ნებიერიძეები, ბათუმის სული წმიდის ეკლესიის სამრევლოდან – ნანა და თამაზ მღებრიშვილები, ოზურგეთიდან – ანა და რუსლან ხანჩალიანები, ახალციხიდან – ხათუნა და გურამ ნაკაშიძეები, არღის სამრევლოდან – ნათელა და გივი ჩილინგარიშვილები, უდიდან – მარინა და ჯუმბერ

მღებრიშვილები, უნწიდან – ქეთევან ობოლაშვილი და დავით ჩილაშვილი, ასევე საოჯახო პასტორალური კომისიის წევრები: და ანამარია და ამ სტროქონების ავტორი.

ლექცია-საუბრებს უძღვებოდა მამა იეჟი პილუსი. ვსარგებლობთ შემთხვევით და კომისიის სახელით გვსურს მამა იეჟის გულითადი მადლობა გადავუხადოთ იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რასაც იჩენს ოჯახების მიმართ და ყოველთვის მზადაა, სულიერი დახმარება გაუწიოს მეუღლეთა წყვილებს.

მამა იეჟიმ გაიხსენა პაპის, იოანე პავლე II-ის ენციკლიკა *“Familiaris Consortio”*, რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს ანიმატორი წყვილებისათვის. მოძღვრის საუბარი შეეხო ოჯახის ამჟამინდელი ვითარების დადებით და უარყოფით მხარეებს, – იმ ნიშნებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ღმრთის სიყვარულის ნიშნებს წარმოადგენენ და, მეორე მხრივ, ღმრთის სიყვარულს უპირისპირდებიან. საუბრის დაწყებამდე დაისვა კითხვები, რომლებზეც წყვილებს ჯგუფურად უნდა ემსჯელათ: როგორ წარმოგედგინა ქორწინებამდე შენი მომავალი ოჯახი? რა გსურდა ყველაზე მეტად შენი ოჯახისათვის? როგორი ურთიერთობების შექმნა გინდოდა ოჯახში და რას გასცემდი საკუთარი ოჯახისათვის? როგორია აქტუალური ვითარება თქვენს ოჯახში? რითი ხართ კმაყოფილი და რითი არა? რას მიიხნევთ დადებითად და რას – არა? როგორ შეაფასებთ ურთიერთობებს ოჯახში (ცოლ-ქმარს, მშობლებსა და შვილებს, და-ძმებს შორის)? რის უკმარისობას გრძნობთ ოჯახურ ურთიერთობებში?

მამა იეჟის აზრით, დღევანდელ ოჯახში შემდეგი ტიპის სიძნელეები იჩენს თავს: 1. მატერიალური და ემოციური დამოკიდებულება მშობლებზე; 2. სიშორე, ანუ დისტანცია რომელიც არსებობს ცოლ-ქმარს შორის; 3. გულგრილობა; 4. აგრესია; 5. შიში; 6. უპატივცემულობა.

საღამოს სალექციო დრო დაეთმო მამა პიერს, რომლის საუბრის თემა იყო *“ოჯახები ბიბლიაში”*. მან მსმენელებს მოუწოდა, უკეთ გასცნობოდნენ ბიბლიურ გმირებს. სანტერესო იყო მამა პიერის მოსაზრება ქალისა და მამაკაცის აზროვნების განსხვავებებზე, რაც ასე მიმზიდველს ხდის მათ ერთმანეთისთვის და რაც გაუგებრობის შემთხვევაში შეიძლება გათიშვის მიზეზიც გახდეს.

ერთ-ერთი ინგლისელი ფილოსოფოსის კონცეფციით, – აღნიშნა ლვოვის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოსოფოსმა პეტრო ჰუსაკმა, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემებზე: *“საუბარი სიყვარულზე”* და *“ადამიანის სიცოცხლის მიღება”*, – *“ერთი მაჯის შემობრუნება ცვლის მთელ სამყაროს”*; სიცოცხლეს ხელს ვუწვედით და ვიღებთ, ან მაჯას ვაბრუნებთ და ვართმევთ. *“არცერთ ჩვენგანს არ მიუღია მონაწილეობა საკუთარი სიცოცხლის დაბადებაში, ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა ამ სამყაროში მოსვლა. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის მიღება, მეორე – მადლიერების გამოხატვა და ბოლოს, მიღებულის გაფრთხილება”*.

გთავაზობთ უნწის საკრებულოს წყვილის ქეთევან ობოლაშვილისა და დავით ჩილაშვილის შთაბეჭდილებას: *“ჯგუფებში მუშაობამ წყვილები უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთთან. ადგილი ჰქონდა გამოცდილების*

გაზიარებას. პიროვნების, წყვილის და ოჯახის კეთილდღეობა, გულისხმობდა სიცოცხლის და სექსუალურობის საკითხებისადმი – აი ის თემები, რომლებზეც ამ დღეებში მოგვიხდა დაფიქრება. 9 დეკემბრის საღამოს სტუმრად იყო მოწვეული ბიოეთიკის ექსპერტი პეტრო ჰუსაკი. საუბრები სიცოცხლის ღირსებაზე, მის საკრალურობაზე, რომელიც დაგვირგვინდა ფილმის ჩვენებით. “სიცოცხლის სასწაული” ასე ერქვა ფილმს, რომელმაც ჩაგვაფიქრა სიცოცხლის სიღამაზეზე, მის მართლაც სასწაულებრივ განვითარებაზე და იქვე მოგვიწოდა აბორტის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. პირადად ჩვენ და თითოეული წყვილი ძალიან კმაყოფილნი დავრჩით ამ შეხვედრით. მადლობას ვუხდით შეხვედრების ორგანიზატორებს და იმ საერო პირებს და ოჯახურ წყვილებს, რომლებმაც შეძლეს შეხვედრაზე ჩამოსვლა, ჩვენთან ურთიერთობა”.

დამთავრდა წყვილთა ფორმაციული მომზადების პირველი შეხვედრა. გვჯერა, რომ თუ ადამიანებში არ გამოიხატა იმის სურვილი და სიმზნევე, რომ ნამდვილად ქმედითი და სტაბილური გახადონ საოჯახო სამწყსო საქმიანობა, რთული იქნება, ეკლესიაში და საზოგადოებაში ახალი კულტურის დანერგვა ოჯახებისა და ქორწინების საკეთილდღეოდ. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ოჯახები არა მარტო შემწეობის ობიექტები არიან, არამედ აქტიური და პასუხისმგებელი სუბიექტები დმთავებრივი ხსნის მისიაში, რომელსაც ხორცი ესხმება სიტყვით, საქმით და ცხოვრებით.

ღალი ჩარკვიანი

ინფორმაცია

უამი შეკრებად ქვათა

გასული წლის 26 დეკემბერს გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს შემაჯამებელი სხდომა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედ ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა ლიდერები. სხდომა გახსნა სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელმა ბ-მა ბექა მინდიაშვილმა, რომელმაც მოკლედ შეაჯამა 2006 წელს რელიგიათა საბჭოს წევრთა მიერ განხორციელებული საქმიანობა, განსაკუთრებით გამოყო ტოლერანტობის ცენტრის ინიციატივით ჩატარებული ინტერკონფესიული ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მართლმადიდებელი, კათოლიკე, პროტესტანტი, იუდეველი და მუსლიმი მორწმუნე მოყვარული ფეხბურთელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამგვარ ტურნირებში, როგორც წესი, მეგობრობა იმარჯვებს, ამჯერადაც ასე მოხდა, მაგრამ ქართველთა ამ ინიციატივით საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესდნენ და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ 2007 წლიდან მსგავსი ხასიათის ტურნირები ევროპის მასშტაბითაც გაიმართოს.

რელიგიათა საბჭოს წევრებს მიესალმა საქართველოს სახალხო დამცველი. ბატონმა სოზარ სუბარმა ხაზი გაუსვა საქართველოში სამოქალაქო თანხმობის, ქველმოქმედების, სულიერების განმტკიცების სფეროში რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ შეტანილ მნიშვნელოვან

წელიწადში. მართლაც, რელიგიათმცოდნეობის კოორდინაცია, სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ოპტიმიზაცია, ჯერ კიდევ მრავლად არსებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა, ტოლერანტული გარემოს შექმნისათვის მიმართული ძალისხმევა, – აი, ის მცირე ჩამონათვალი, რასაც ეს საბჭო აკეთებს სახალხო დამცველისა და ტოლერანტონის ცენტრის ქმედითი დახმარებით. სამომავლოდ ეს საქმიანობა უფრო ფართომასშტაბიანი გახდება და კიდევ მეტ სერიოზულ, პოზიტიურ შედეგებს მოიტანს.

ამ მიმართებით რელიგიათა საბჭოს ქმედით დახმარებას უწევს სახალხო დამცველის შურნალი „სოლიდარობა“ (რედაქტორი ნინო ცინცაძე), რომელიც 2006 წლიდან გამოდის გაეროსა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. მიმდინარე წლიდან გაიზრდება „სოლიდარობის“ ტირაჟი, ფორმატი, გახდება უფრო მრავალფეროვანი. შურნალის ყოველ ნომერში წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი ესა თუ ის რელიგიური კონფესია და ამ პრეზენტაციებს თავად კონფესიის წარმომადგენლები ამზადებენ, მხოლოდ ამ პუბლიკაციაში აუცილებლად დაცული უნდა იყოს მთავარი პრინციპი -- ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა. შურნალ „სოლიდარობის“ 2007 წლის პირველი ნომერი საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიას მიეძღვნება.

რელიგიათა საბჭოს ავტორიტეტის ზრდაზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი საქმიანობით უცხოეთშიც ინტერესდებიან და საქართველოშიც რელიგიური პროფილის მრავალი ორგანიზაცია ცდილობს გაერთიანდეს ამ საბჭოში. 2006 წლის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდნენ თურქეთში (სტამბულში) მოქმედი საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის წარმომადგენლები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს გაწევრიანებულიყვნენ რელიგიათა საბჭოში. საბჭოს წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია მიღებულ იქნა საბჭოს წევრად. გაწევრიანების ოფიციალურ დოკუმენტს ხელი მოაწერა ასოციაციის პრეზიდენტმა ბ-მა ეროლ შექერჯიმ. „თურქეთში მცხოვრები ქართველები დაინტერესებული ვართ საქართველოსთან თანამშრომლობით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სიძველეების დაცვას, გვინდა ერთობლივად ვიზრუნოთ და ვუპატრონოთ სტამბულის კათოლიკურ სავანესაც“, – განაცხადა ბ-მა ეროლმა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებთან საუბრისას.

რელიგიათა საბჭოში გაწევრიანდა საქართველოს ქრისტიან ქალთა ინტერელიგიური კავშირიც, რომელიც ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო საქმიანობით არის ცნობილი და მასში კათოლიკური ეკლესიის მრევლის წევრებიც არიან გაერთიანებულნი.

სხდომის დასასრულს რელიგიათა საბჭოს წევრებმა ერთიანი მილოცვის ტექსტი მიიღეს იმ უმთავრეს რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით, რომლებიც დეკემბერ-იანვარში აღინიშნება სხვადასხვა კონფესიათა მიერ.

სხდომის დასასრულს საქართველოს სახალხო დამცველის სახელით გაიმართა ფურშეტი, სადაც საახალწლო მილოცვებთან და სამომავლო კეთილ სურვილებთან ერთად, ქვეყნის საკეთილდღეოდ

ინტერკონფესიული თანამშრომლობის გაფართოებისა და გამრავალფეროვნების მზაობის დიდი სურვილიც გამოიკვეთა.

ყოველივე ამის შემხედვარეს გეუფლებოდა ფიქრი იმის შესახებ, ხომ არ ახლოვდება უამი ქვეების შეკრებისა, ყოველ შემთხვევაში ინტერკონფესიური ბარიერების დაძლევის კუთხით მაინც.

ნუგზარ ბარდაველიძე
ვატიკანი, 25 ნოემბერი, 2006

/□ 46.761/

პატივცემულ მ. ლუიჯი მანტოვანის
ქუთაისი /საქართველო/

პატივცემულო მამაო,

საქართველოში მოქმედი სამოციქულო ნუნციატურის მეშვეობით, თქვენ გამოიჩინეთ კეთილი ნება, რათა უმაღლესი პონტიფექსისათვის წარმოგედგინათ “იტალიურ-ქართული ლექსიკონი“-ს ერთი ცალი, როგორც ღირსეული ნაშრომი, თქვენს მიერ დიდი რუდუნებით შედგენილი, იტალიელი და ქართველი ხალხის მეგობრული კავშირების გასაღრმავებლად და როგორც ბოლოუამინდელი ნიმუში იმ ტრადიციულ მოვალეობათაგან, რითაც საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი გაიღეს კათოლიკე მღვდლებმა და სასულიერო პირებმა ქართული კულტურის გაცნობასა და გავრცელებაში.

წმიდა მამას, რომელმაც გაითვალისწინა პატივი და მაღლიერებით იღებს პირად მინაწერში გამოსატულ გრძნობებს, რაც თქვენი ხელმოწერით დაადასტურეთ, სურს გაცნობოთ თავისი კეთილგანწყობა ესოდენ გულმოდგინე, ბეჯითი და პროფესიონალური მოვალეობის მიმართ და მისი დაფასებისთვის.

მისი უწმიდესობა ღოცულობს, რათა მსახურებას, რომელშიც უფალმა იესომ მოგიხმით, მარადუამს აგვირგვინებდეს უხვი ნაყოფი ეკლესიის საკეთილდღეოდ და ღმრთისმშობლის ზეციურ მფარველობას ევედრება თქვენთვის, თანამოძმეებისა და თქვენთვის ძვირფასი პიროვნებების მიმართ, და ამ მფარველობას იგი ადასტურებს გამორჩეული სამოციქულო კურთხევით.

ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვხატავ თქვენდამი ღრმა პატივისცემას.

უფალში სიყვარულით,
ლეონარდო სანდრი.

ჟურნალი „საბა“ გულწრფელად უერთდება მამა ლუიჯი მანტოვანის სასიკეთოდ უმაღლესი პონტიფექსის აღვლენილ ღოცვას და ულოცავს

მსოფლიო მოძღვარს დაბადების 76-ე წლისთავს, უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ სამოძღვრო და სამეცნიერო მოღვაწეობას.

მის აღმატებულებას, წმიდა საყდრის დესპანს საქართველოში,
ბატონ კლაუდიო გუჯეროტის

თქვენო აღმატებულებაჲ,

გულითადად გილოცავთ მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალ 2007 წელს.

დაე, სიკეთის, სიხარულისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი ყოველი ჩვენგანისათვის.

ღრმა პატივისცემით,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

შობა ქრისტესი

თბილისი, 2006/2007

ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორს,

მეუფე ჯუზეპე პაზოტოს

დიდ მადლობას მოგახსენებთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულისა და ახალი წლის მოლოცვისათვის.

დაე, სიკეთის, სიხარულისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი ყოველი ჩვენგანისათვის.

ღრმა პატივისცემით,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

შობა ქრისტესი

თბილისი, 2006/2007

სარჩევი

რედაქციის გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

სოციალური პრობლემები

ისტორიის ფურცლები

პოეზიის სვეტი

ქრისტიანული ოჯახი

ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:

დოგმატური კონსტიტუცია ღმრთის გამოცხადების შესახებ

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2007

დოგმატური კონსტიტუცია ღმრთის გამოცხადების შესახებ “DEI VERBUM”

საგანგებო ჩანართი

ვატიკანის II კრების დოკუმენტების ქართულ ენაზე გამოცემის შემდეგ ჟურნალ “საბას” რედაქციამ გადაწყვიტა, ყოველ ნომერში წარმოგიდგინოთ ამ დოკუმენტთან ერთ-ერთი. დღეს მამა პიერ დიუმულენი გვესაუბრება დოგმატურ კონსტიტუცაზე ღმრთის გამოცხადების შესახებ.

რა არის გამოცხადება?

სამყარო იმდენს მოგვითხრობს ღმრთის შესახებ, რომ ჩვენი გონებითაც შეგვიძლია დავუშვათ მისი არსებობა და დარწმუნებულნიც ვიყოთ მასში. მაგრამ ცოდვა ხშირად გვაბრმავეებს და ღმერთი წამოვიდა ჩვენს საშველად: მან იმოქმედა წმიდა ისტორიაში.

ღმერთი მოქმედებს ისტორიაში და ამგვარად შეგვიძლია მისი შეცნობა. დასაწყისში შექმნა ღმერთმა სამყარო და სამყარო მოგვითხრობს მის შესახებ. ისღა დაგვრჩენია, ვუმზიროთ და აღვფრთოვანდეთ; შემდეგ ღმერთმა შექმნა ადამიანი, თავის ხატად და მსგავსად; შემდეგ მან აირჩია აბრაამი და წმიდა ერი, ესაუბრებოდა კონკრეტულ ადამიანებს – პარტიარქებს, მოსეს, წინასწარმეტყველებს... ბიბლია არის წიგნი, რომელიც მოგვითხრობს ღმრთისა და მისი ერის ურთიერთობის შესახებ.

დაბოლოს, ღმერთმა მოგვივლინა იესო, თავისი ცოცხალი სიტყვა. იესო გვიცხადებს ღმრთის არა მხოლოდ თავისი სიტყვებითა და საქმეებით, არამედ იმითაც, რაც არის იგი თავად. ხედავდე იესოს –

ნიშნავს ხედავდნენ ღმერთს. მაგრამ იესო ჭეშმარიტი ადამიანიცაა. იესოში ღმერთმა გაგვიცხადა თავისი ნება და სურვილი ჩვენი სიკეთისა. იესოს მოვლინების შემდგომ, ღმერთს აღარაფერი აქვს სათქმელი. მასში გაგვიცხადა მან მთელი თავისი სიყვარული და დაგვიდო საუკუნო აღთქმა.

ღმერთი გამოეცხადა ადამიანს და დღესაც აგრძელებს მასთან საუბარს. ამგვარად შეგვიძლია მისი შეცნობა და შეყვარება. ღმრთის შეცნობა არ არის მხოლოდ ცოდნა იმისა, თუ ვინ არის იგი, არამედ მასთან თანაზიარება, მეგობრობა. ქრისტიანული ცხოვრება მეგობრული საუბარია ღმერთთან.

ქრისტიანული რწმენა გამოირჩევა სხვა რელიგიებისაგან: ღმერთმა არა მარტო გვითხრა, თუ რა უნდა ვაკეთოთ, არა მხოლოდ მოგვცა მაგალითი, არამედ გახდა ერთ-ერთი ჩვენთაგანი, რათა მოეცა ჩვენთვის ხსნა. ღმერთი განკაცდა იესოში. ჩვენ ვუმზერთ იესოს, გვიყვარს იგი, ვხდებით მისი მეგობრები და ამგვარად შეგვიძლია უხილავი ღმრთის შეცნობა.

ღმერთი გვეცხადება, რათა მოგვანიჭოს საუკუნო სიცოცხლე, რადგან უსაზღვროდ ვუყვარვართ. იმისთვის, რათა მივიღოთ ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში, საჭიროა მორჩილება რწმენით. უნდა მივინდოთ ღმერთს და დავემორჩილოთ მის სიტყვას, ვიყოთ მისი ერთგულნი მთელი ჩვენი ცხოვრებით. რწმენა ღმრთის მადლია, სული წმიდის ნიჭი.

ღმრთის გამოცხადების გადმოცემა

უამთა აღსასრულამდე ისტორიისა და თავისი უსაზღვრო სიყვარულის “კეთილი უწყების” გადმოცემისათვის იესომ აირჩია მოციქულები. ისინი იესოსთან ერთად ცხოვრობდნენ. სული წმიდის შთაგონებით მათ და მათმა მოწაფეებმა გადმოგვცეს ხსნის ეპისტოლე.

ამ ეპისტოლის ხელუხლებლად შენარჩუნებისთვის მოციქულებმა აირჩიეს მემკვიდრეები – ეპისკოპოსები.

ამიტომ წმიდა წერილის გამოცხადების გადმოცემა საუკუნეთა მანძილზე სამოციქულო ტრადიციაშია შენარჩუნებული. ეკლესიის პირველმა მამებმა, შემდეგ წმიდანთა თაობებმა და ეკლესიის მოძღვრებამ გადმოგვცა და აგრძელებს გადმოცემას რწმენის ჭეშმარიტებისა, მუდამ ადრმავეს მას და ხელახლა გადაიკითხავს ყოველ ეპოქაში.

ამრიგად, ქრისტიანული რწმენა “სამფესს” ეყრდნობა: წმიდა წერილი, ტრადიცია, ეკლესიის მოძღვრება. ჩვენ ვერ გავმიჯნავთ მათ: ბიბლია გაგებულნი შეიძლება იყოს მხოლოდ მოციქულთა ცოცხალ ტრადიციაში, სწორედ ეკლესიის მოძღვრება განმარტავს მას ყოველ ეპოქაში. ეკლესიის მოძღვრება კი, თავის მხრივ, ღმრთის სიტყვით უნდა საზრდოობდეს.

ბიბლია შთაგონებულია სული წმიდის მიერ

ბიბლია სული წმიდის შთაგონებით დაიწერა. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა ამოირჩია ადამიანები, რომელნიც თავიანთი უნარის შესაბამისად ადამიანურ ენაზე გადმოგვცემდნენ ღმრთის ნებას.

მაგრამ წმიდა წერილის გაგებისათვის მისი წიგნები დაწერის ეპოქისა და ისტორიული სიტუაციის შესაბამის კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული. მაგალითად, ვერ გამოვიყენებთ ძველი აღთქმის ტექსტს მხოლოდ ახალ აღთქმასთან მიმართებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აღარ იქნება ქრისტიანული საკითხავი! უნდა გავარკვიოთ, რისი თქმა სურდა ავტორს მის ეპოქაში და მხედველობაში მივიღოთ ბიბლიის სხვადასხვა წიგნთა და ტექსტთა “ლიტერატურული ჟანრები”: ლეგენდა, პოეზია, ისტორიული ტექსტი, სიბრძნე, ფოლკლორი, აღმოსავლეთის ისტორია, მეცნიერული ტექსტი და სხვ.

იმისთვის, რომ სული წმიდის მიერ შთაგონებული ტექსტი წაკითხო, თავად უნდა იყო შთაგონებული. ამრიგად, შესწავლა აუცილებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია ლოცვა და ეკლესიის მოძღვრებასთან თანხმობა.

ძველი აღთქმა

ღმერთი თანდათან ამზადებდა ერს, რომელსაც შეეძლო ხსნის სისავსის მიღება. იგი ესაუბრებოდა აბრაამს, შემდეგ მოსეს, მთელ წმიდა ერს. წინასწარმეტყველთა უწყებით მან ერს ხსნის იმედი მისცა. ამრიგად, ძველი აღთქმა სამზადისია და ვერ განიხილება იგივე თვალსაზრისით, როგორც ახალი აღთქმა: ქრისტიანისთვის ბიბლია გამოდის ქრისტესგან და მისი ეპისტოლისგან, სწორედ იგი იძლევა შესაძლებლობას ძველ ტექსტთა გასაგებად. ისინი აუწყებს ქრისტეს, ამზადებს მისი მიღებისათვის და იძლევა საშუალებას სახარებაში გამოყენებულ სახეთა გასაგებად (მაგალითად “კრავი უფლისა, “ზეციური იერუსალიმი”, თორმეტი მოციქული, “პური სიცოცხლისა”, “ვაზი ჭეშმარიტი”). ეს ტექსტები ღმრთის პედაგოგიკის მოწმობებია, მაგრამ არსრულყოფილ და გარდამავალ საგნებზეც საუბრობს.

ახალი აღთქმა

იესო ღმრთის გამოცხადების მწვერვალი და აღსრულებაა. მხოლოდ მას აქვს საუკუნო სიცოცხლის სიტყვები. მისი მოძღვრება ახალი აღთქმის წიგნებში ინახება. იესოს მთელი სიცოცხლე არის ეპისტოლე ყოველი ადამიანის მიმართ. ახალი აღთქმა მუდმივი მოწმეობაა იესოს კეთილი უწყებისა, რომელიც აერთიანებს ეკლესიას.

სახარებები, რომლებიც მოციქულებმა დაგვიტოვეს, შეიცავს იესოს ცხოვრებისა და მოძღვრების მოწმეობას. ოთხი ტექსტი – მათეს, მარკოზის ლუკასა და იოანესი – ქმნის ერთ სახარებას, კეთილ უწყებას იესოსი და იესოზე.

სახარებები ისტორიულია და სარწმუნოდ გადმოგვცემენ იმას, რაც იესოს, ღმრთის ძეს უთქვამს და მოუმოქმედია მიწიერი ცხოვრების დროს. ავტორებმა შეძლეს ამის გადმოცემა სული წმიდის შთაგონებით იესოს აღდგომის შემდეგ. მათ გამოიყენეს საკუთარი მოგონებები, ან თვითმხილველთა მოწმობანი და ამგვარად შემოგვინახეს იესოს ჭეშმარიტი მოძღვრება.

ახალი აღთქმის სხვა ტექსტებიც სული წმიდის შთაგონებით დაიწერა. ისინი ამოწმებს იმას, რაც ითქვა იესოზე და მის ღმრთაებრივ მოძღვრებაზე სახარებებში, განმარტს ამ მოძღვრებას, მოგვითხრობს სახარების სასწაულებრივ გავრცელებაზე და იმის შესახებ, თუ რა მოელის ეკლესიას ჟამთა აღსასრულისას.

წმიდა წერილი ეკლესიის ცხოვრებაში

ლიტურგიაში ეკლესია იღებულობს წმიდა წერილს, ისევე როგორც იღებს უფლის სხეულს. ღმრთის სიტყვა არის ქრისტიანული რწმენის უზენაესი წესი. იგი კვებავს ეკლესიის ცხოვრებას, არის მისი საყრდენი, ძალას აძლევს მას. ყოველი მორწმუნისათვის იგი რწმენის ძალაა, სულის საზრდო, სულიერი ცხოვრების წყარო.

იმისთვის, რომ სიტყვა ყველასთვის მისაწვდომი იყოს, საჭიროა მისი თარგმნა ყველა ენაზე.

ღმრთისმეტყველები არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ, ჩაუღრმავდნენ წმიდა წერილს, განმარტონ იგი და მიაწოდონ თავიანთი შრომის ნაყოფი ერთგულთ. ყოველი მოძღვარი, ყველა, ვისაც აკისრია კატეხიზმოს სწავლება, ყოველი ქრისტიანი და ქრისტიანული ოჯახი უნდა კითხულობდეს წმიდა წერილს და უფიქრდებოდეს მას, რადგან წმიდა წერილის უგულებელყოფა ქრისტეს უგულებელყოფაა. ისევე, როგორც ლოცვისას, წმიდა წერილის კითხვისას ჩვენ ვესაუბრებით ღმერთს – ვისმენტ მის სიტყვას და ვუპასუხებთ მას.

**ფრანგულიდან თარგმნა
რუსუდან აგალიშვილმა**